European Commission
against Racism and Intolerance

ECRI

Commission européenne
contre le racisme et l'intolérance

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

CRI(96)43
Version géorgienne
Georgian version

რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N1

რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის შესახებ

მიღებულია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მიერ, 1996 წლის 4 ოქტომბერს

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს არის ნათარგმნი ტექსტი. თუ ტექსტში რამე დაგაეჭვებთ, გთხოვთ, გადაამოწმოთ ორიგინალურ ვერსიებში ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.

გამოქვეყნებულია
ევროპული კომისიის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მიერ
ევროპის საბჭო - 1996
დაბეჭდილია სტრასბურგში

ევროპული კომისია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ:

ეყრდნობა რა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურების მიერ 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ვენაში გამართულ ევროპის საბჭოს პირველ სამიტზე მიღებულ დეკლარაციას;

ეყრდნობა რა, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ამ დეკლარაციის შემადგენელი ნაწილია და მინისტრთა კომიტეტს მოუწოდებს რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის შექმნას, რომელსაც ექნება, მათ შორის, წევრი სახელმწიფოებისათვის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავების მანდატი;

ითვალისწინებს რა N1275 რეკომენდაციაში წარმოდგენილ წინადადებებს რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მიღებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ, 1995 წლის 28 ივნისს;

დარწმუნებულია რა, რომ რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ეფექტური ბრძოლა საჭიროებს მდგრად და კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აისახება სხვადასხვა ზომებში, რომელიც ერთმანეთს ავსებს და ამყარებს და მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს;

ითვალისწინებს რა წევრი სახელმწიფოების სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ მრავალფეროვნებას და ამ სფეროში სპეციფიკური ზომების საჭიროებას, ამ მრავალფეროვნების ასახვის მიზნით;

ითვალისწინებს რა, რომ მხოლოდ სამართლებრივი ზომები არ არის საკმარისი რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად, მაგრამ ამავდროულად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ზომები უაღრესად მნიშვნელოანია, ხოლო შესაბამისი არსებული კანონმდებლობის აღუსრულებლობა, ზოგადად, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ საქმიანობის დისკრედიტაციას ახდენს;

ითვალისწინებს რა, რომ საშუალო და გრძელვადიანი პრევენციული სტრატეგიები ეფუძნება საგანმანათლებლო და სხვა ზომებს, რომელიც აუცილებელია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის სხვადასვა გამოვლენების აღსაკვეთად და ამ მხრივ, გამოხატავს მხარდაჭერას ევროპის საბჭოს ფარგლებში განხორციელებული ინიციატივების მიმართ, განსაკუთრებით ისტორიის სწავლების სფეროში და ასევე, R 84(18) რეკომენდაციის მიმართ, რომელიც შეეხება კულტურათაშორისი ურთიერთგაგების საკითხებზე მასწავლებელთა მომზადებას, განსაკუთრებით მიგრაციის კონტექსტში, და R (85)7 რეკომენდაციის მიმართ, რომელიც შეეხება სკოლებში ადამიანის უფლებების სწავლებასა და სწავლას;

ითვალისწინებს რა, რომ მედიამ, შესაძლოა, ითამაშოს აქტიური როლი ტოლერანტობის კულტურისა და ურთიერთგაგების სასარგებლოდ;

მიზნად ისახავს, რა, რომ წინამდებარე ზოგადი პოლიტიკის პირველი რეკომენდაციით, რომელიც საერთაშორისო დონეზე განხორციელებულ ძალისხმევას ავსებს, დაეხმაროს წევრ

სახელმწიფოებს რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ეფექტურად ბრძოლაში, კონკრეტული და სპეციფიკურიზომების შეთავაზების გზით, განსაზღვრული რაოდენობის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სფეროებში;

წევრ სახელმწიფოებს მიმართავს რეკომენდაციით:

A. კანონმდებლობის, კანონმდებლობის აღსრულებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ

- უზრუნველყონ, რომ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მაღალ დონეზე, მაგალითად, კონსტიტუციაში ან ძირითად კანონმდებლობაში, იყოს გათვალისწინებული ადამიანების თანაბრად მოპყრობის და რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს ეკისრება;

- ხელი მოაწერონ და მოახდინონ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების რატიფიცირება, რომელთა ჩამონათვალიც წარმოდგენილია დანართში;

- უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა მკაფიოდ და კონკრეტულად ეწინააღმდეგებოდეს რასიზმს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს და შეუწყნარებლობას და, მათ შორის or კერძოდ-, უზრუნველყოფდეს:

    - დასაქმებაში და საზოგადოებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებაში დისკრიმინაციის აკრძალვას;

    - რასისტული და ქსენოფობიური აქტების მკაცრად დასჯას ისეთი მეთოდებით, როგორიცაა:

        - რასისტული ან ქსენოფობიური ბუნების მქონე საერთო დანაშაულების განსაზღვრა სპეციფიკურ დანაშაულებად;

        - დამნაშავის რასისტული ან ქსენოფობიური მოტივების სპეციფიკურად გათვალისწინების უზრუნველყოფა;

    - რასისტული ან ქსენოფობიური ბუნების სისხლის სამართლებრივი დანაშაულების დაკავებული თანამდებობის მიხედვით სამართლებრივი დევნის შესაძლებლობას;

    - რომ, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად,-

    ზეპირი, წერილობითი, აუდიო-ვიზუალური გამოხატვა და გამოხატვის სხვა ფორმები, მათ შორის, ელექტრონული მედია, რომელიც ახალისებს სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული ან რელიგიური ჯგუფების ან მათი წევრების წინააღმდეგ, იმის საფუძველზე, რომ ისინი მიეკუთვნებიან ასეთ ჯგუფს, კანონმდებლობის თანახმად კატეგორიზდებოდეს,

როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული, რაც, ასევე, უნდა მოიცავდეს, აღნიშნული მასალის წარმოებას, დისტრიბუციას და შენახვას დისტრიბუციის მიზნით;

- ზემოაღნიშნული საერთაშორისო მოვალეობების შესაბამისად, მიიღონ ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი ზომები, რასისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლის მიზნით - იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორგანიზაციები საფრთხეს უქმნიან უმცირესობის ჯგუფების უფლებებს - ასეთი ორგანიზაციების აკრძალვის ჩათვლით, თუ ითვლება, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს რასიზმთან ბრძოლას;

- უზრუნველყონ ფართო საზოგადოების ინფორმირება რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის კანონმდებლობის შესახებ;

- უზრუნველყონ, რომ რასისტული ან ქსენოფობიური ბუნების დანაშაულების სისხლის სამართლებრივი დევნას ენიჭება მაღალი პრიორიტეტი და ხორციელდება აქტიურად და თანმიმდევრულად;

- უზრუნველყონ ზუსტი მონაცემებისა და სტატისტიკის შეგროვება და გამოქვეყნება რასისტული და ქსენოფობიური დანაშაულების შესახებ, რომელთა პოლიციისათვის შეტყობინება ხდება; იმ საქმეების რაოდენობის შესახებ, რომელთა სამართლებრივი დევნაც განხორციელდა; იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც არ განხორციელდა სამართლებრივი დევნა და სამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ;

- უზრუნველყონ ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის, სისხლის ან ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობაში, სადაც შესაძლებელია მატერიალური ან სხვა სახის კომპენსაციის უზრუნველყოფა;

- დისკრიმინაციის მსხვერპლებისთვის, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ, ადექვატური ადეკვატურიდაცვის უზრუნველყოფა;

- სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობის და მათზე წვდომის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების უზრუნველყოფა.

B. სხვადასხვა სფეროებში პოლიტიკის შესახებ

- მიიღონ ზომები განათლებისა და ინფორმაციის სფეროებში, რათა გაძლიერდეს რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტისემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლა;

- მიიღონ პოლიტიკა, რომელიც ამაღლებს აამაღლებსიმ სიმდიდრის შესახებ, რაც კულტურულ მრავალფეროვნებას მოაქვს საზოგადოებისათვის;

- გამოიკვლიონ რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის ბუნება, მიზეზები და გამოხატულებები ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;

- უზრუნველყონ, რომ სკოლის კურიკულუმები, მაგალითად, ისტორიის სწავლების სფეროში, მოწყობილია ისე, რომ ამაღლებს კულტურული მრავალფეროვნების დაფასებას;

- შეიმუშაონ და მხარი დაუჭირონ ტრენინგ კურსებს, რომელიც ხელს უწყობს კულტურულ მგრძნობელობას, ცრურწმენის შესახებ ცნობიერებას და დისკრიმინაციის სამართლებრივი ასპექტების შესახებ ცოდნას მათთვის, ვისაც პირდაპირი კონტაქტი აქვს საზოგადოებასთან და მათთვის, ვინც პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფაზე, რომ ორგანიზაციაში მომუშავე პირები აკმაყოფილებენ დისკრიმინაციის აკრძალვის და თანაბარი შესაძლებლობის სტანდარტებსა და პოლიტიკას;

- კერძოდ, უზრუნველყონ რომ ასეთი ტრენინგის დანერგვა და შენარჩუნება სამართალდამცავი ორგანოების, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების ორგანოების, პენიტენციალური დაწესებულებების თანამშრომლებისა და იმ პერსონალისთვის, რომელიც მუშაობს სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან, განსაკუთრებით კი ლტოლვილებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან;

- წაახალისონ საჯარო მოხელეები, რათა მათ გაითვალისწინონ, რომ საჯაროდ გაკეთებულ განცხდებებში სასურველია ტოლერანტობის ხელშეწყობა;

- უზრუნველყონ პოლიციის მიერ საზოგადოების ყველა წევრის თანაბარი მოპყრობა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის ნებისმიერი შემთხვევის თავიდან აცილება;

- შეიმუშავონ პოლიციასა და უმცირესობის თემებს შორის ფორმალური და არაფორმალური დიალოგის სტრუქტურები და უზრუნველყონ პოლიციასა და უმცირესობის ჯგუფებს შორის ინციდენტებისა და კონფლიქტის სფეროების დამოუკიდებელი მოკვლევის მექანიზმის არსებობა;

- ხელი შეუწყონ საჯარო სამსახურში, ყველა დონეზე განსაკუთრებით კი პოლიციისა და დამხმარე პერსონალის უმცირესობის ჯგუფებით დაკომპლექტებას;

- უზრუნველყონ ყველა საჯარო სერვისსა და საჯარო ბუნების მქონე სერვისზე საზოგადოების ყველა წევრის არა-დისკრიმინაციული წვდომა;

- მიიღონ სპეციფიკურიზომები, როგორიცაა მიზანმიმართული ინფორმაციის უზრუნველყოფა, რათა ყველა შესაბამის ჯგუფს ჰქონდეს დე ფაქტო თანაბარი წვდომა ამ სერვისებზე;

- ხელი შეუწყონ და გაზარდონ არსებითი თანასწორობის შესაძლებლობა სპეციალური ტრენინგის ზომების არსებობის უზრუნველყოფის გზით, რაც უმცირესობის ჯგუფებს ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე შესვლაში;

- მოახდინონ საჯარო და კერძო საბინაო სექტორში დისკრიმინაციული პრაქტიკებისა და ბარიერების ან გამორიცხვის მექანიზმების კვლევის ინიცირება;

- უზრუნველყონ, რომ საჯარო სექტორში საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდებოდეს გამოქვეყნებული სამართლიანი კრიტერიუმების საფუძველზე, ე.ი. რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი უფლების მქონე ყველა პირის თანაბარ წვდომას, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა;

- ვინაიდან რთულია ზემოაღნიშნულ სფეროებში პოლიტიკის შემუშავება და ეფექტურად განხორციელება საიმედო მონაცემების გარეშე, შეაგროვონ, მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ევროპული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები, რომელიც მათ დახმარებას გაუწევს სიტუაციისა და იმ ჯგუფების გამოცდილებების შეფასებაში, რომლებიც განსაკუთრებით მოწყველადები არიან რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და შეუწყნარებლობის მიმართ.

დანართი

შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ჩამონათვალი

- ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) (1950) და მისი დამატებითი ოქმები
- გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (1958)
- ევროპული სოციალური ქარტია (1961) და მისი დამატებითი ოქმები
- იუნესკოს-ს კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960)
- გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965)
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966)
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (1966) და მისი პირველი დამატებითი ოქმი
- რეგიონული და უმცირესობის ენების ევროპული ქარტია (1992)
- ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია (1995)

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წლის 5 მაისს დააარსა ათმა ევროპულმა ქვეყანამ, ორგანიზაციის წევრებს შორის ერთიანობის ხელშეწყობის მიზნით. ამჟამად ევროპის საბჭო 47 ევროპულ ქვეყანას აერთიანებს. [1]

ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და საერთო რეაგირების შემუშავება წევრ სახელმწიფოებში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამართლებრივ გამოწვევებთან დაკავშირებით.

ევროპის საბჭოს ცენტრალური ოფისი მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი). წესდების თანახმად, ევროპის საბჭო ორი დამფუძნებელი ორგანოსგან შედგება: მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა. ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებში არსებულ ადგილობრივ და რეგიონულ თვით-მმართველობებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ორგანოს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს წინააღმდეგ ფიზიკური პირების, ასოციაციების ან სხვა ხელისშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით აღძრული საჩივრების განხილვის კომპეტენცია.

ევროპული კომისია რასიზმისა და შუწყნარებლობის წინააღმდეგ

ევროპული კომისია რასიზმისა და შუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) წარმოადგენს მონიტორინგის ორგანოს, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა პირველი სამიტის მიერ. ECRI-ს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას შეიცავს ვენის დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1993 წლის 9 ოქტომბერს გამართულ პირველ სამიტზე. რასიზმის ევროპულმა კონფერენციამ, რომელიც 2000 წლის ოქტომბერში სტრასბურგში გაიმართა, ECRI-ს ქმედებების განმტკიცების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. 2002 წლის 13 ივნისს, მინისტრთა კომიტეტმა ECRI-ს ახალი წესდება მიიღო, რომელიც განამტკიცებს მისი, როგორც რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოს როლს.

ECRI-ის წევრებს გააჩნიათ ინდივიდუალური უფლებამოსილება და დამოუკიდებლობა. ECRI-ის ამოცანას წარმოადგენს რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ანტი-სემიტიზმთან და შეუწყნარებლობასთან ბრძოლა ევროპის მასშტაბით და ადამიანის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე.. ECRI-ს ქმედებები მოიცავს ყველა აუცილებელ ზომას ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან და ცრურწმენებთან საბრძოლველად, რომელსაც აწყდებიან ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, განსაკუთრებით რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით.

ECRI-ის კანონით განსაზღვრული აქტივობებია: ინდივიდუალური ქვეყნების მონიტორინგი; ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება; ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ECRI-ისა და მისი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად
გთხოვთ, მიმართოთ:

ევროპული კომისია რასიზმისა და შუწყნარებლობის წინააღმდეგ
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg cedex
Tel: +33 (0)3 90 21 46 62
E-mail: ecri@coe.int
Website: www.coe.int/ecri

[1] ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვეთი, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთი, სან მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ჩრდილოეთი მაკედონია, ხორვატია.